



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №63

2013 წლის 11 აპრილი
ქალაქი ხაშური

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის N311 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის N311 განკარგულების შესაბამისად:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი 657 900 ლარის ფარგლებში განსახორციელებელი ცალკეული ღონისძიებების მოცულობა და სამუშაოთა ნუსხა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების ღირებულება 87 900 ლარის ოდენობით;

ბ) სპეც. ტექნიკის შესყიდვის ღირებულება 570 000 ლარის ოდენობით, აღნიშნული სახსრების ფარგლებში განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- სახანძრო-სამამუშაო სპეციალური მანქანის შესყიდვა;
- ნაგავშემკრები ავტომანქანის შესყიდვა;
- ავტოცისტერნის შესყიდვა.

2. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

